


ეპილექსიის მქონე პირებისა და მათი გულშემატკივრების
კავშირი

„ტოქუსი“



ეპილევსიით დაავადებული პაციენტების ურთიერთდახმარების სამოხილიზაციო ჯგუფები

ეპილევსიის წინააღმდეგ მებრძოლი საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაციები: „ეპილევსიასთან მებრძოლი საერთაშორისო ლიგა“ (ILAE), „ეპილევსიასთან მებრძოლი საერთაშორისო ბიურო“ (IBE) და ევროპის ეპილევსიის ასოციაცია (EUREPA) 1999 წლიდან მონაწილეობენ ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) ერთობლივ ტრანსნაციონალურ ჯამპანაში

„გამოვიყვანოთ ეპილევსია ჩრდილიდან“.

ზემოაღნიშნულმა ორგანიზაციებმა ოფიციალური მიმართვა გაუგზავნეს ევროპარლემენტს, სადაც აღნიშნულია რომ:

ეპილევსიის პრობლემის გადასაჭრელად, პირველ რიგში უნდა დაიწყოს:

- საზოგადოების განათლება ეპილევსიის საკითხებში და ეპილევსიის სტიგმის წინააღმდეგ ბრძოლა;
- ეპილევსიით დაავადებულების შრომითი მოწყობის სფეროში დისკრიმინაციის აღქვითა;
- ეპილევსიით დაავადებულთა გათვითცნობიერება საკუთარ პრობლემებში, მათი ადეკვატური მკურნალობის უწყვეტობისა და ნორმალური ცხოვრების უზრუნველყოფა;
- პროფესიონალი ნევროლოგებისა და ზოგადი პროფიტის ექიმების უწყვეტი სამედიცინო განათლების უზრუნველყოფა ეპილევტოლოგიაში;
- თანამედროვე სადიაგნოსტიკო და სამკურნალო მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა ეფექტური მკურნალობის მისაღწევად;
- ეპილევტოლოგიური მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა;
- თითოეული ქვეყნის ნაციონალური ILAE და IBE ორგანიზაციების თანადგომა ადგილობრივ სახელმწიფო სტრუქტურებთან აქტიური თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად;

გლობალური ჯამპანიის მიზნების განხორციელება შეუძლებელია აღნიშნულ პროცესში პროფესიონალებისა და პაციენტთა საინიციატივო ჯგუფების ერთობლივი მუშაობის გარეშე. ამიტომ, დღეისათვის, პროფესიონალების ხელშეწყობით მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს ეპილევსიით დაავადებულ პაციენტთა მობილიზაცია, ურთიერთდახმარების ჯგუფების შექმნა, ეპილევსიის პრობლემებში გათვითცნობიერება და განათლება.

საქართველოში აღნიშნული პროცესი 2002 წლიდან დაიწყო და 2003 წელს უკვე ჩამოყალიბდა ეპილევსიით დაავადებულ პაციენტთა ურთიერთდახმარების ქავშირი „**ლოკუსი**“, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს ეპილევსიით დაავადებული პაციენტების ურთიერთდახმარება მობილიზაციისა და განათლების გზით.

ორგანიზაციის ლოზუნგია: „შეიტყვით სიმაართლე ეპილევსიის შესახებ“.

ორგანიზაცია ახორციელებს:

- **სამობილიზაციო საქმიანობას** - ეპილევსიის მქონე პაციენტების, მათი ოჯახის წევრებისა და გულშემატკივრების სამობილიზაციო ჯგუფების ჩამოყალიბებით;
- **საგანმანათლებლო-საინფორმაციო საქმიანობას** - პაციენტების, მათი ოჯახის წევრებისა და ფართო საზოგადოების განათლებით; ეპილევსიის საკითხებზე პოპულარული ლიტერატურის მომზადებითა და გამოცემით, პროფესიული სამედიცინო მომსახურების ფსიქოლოგიური, სამართლებრივი და სოციალური საკითხების შესახებ სწორი ინფორმაციის გავრცელებით;
- **პაციენტთა ადვოკატირებას** - ეპილევსიით დაავადებული პაციენტის სრულყოფილებისა და ეპილევსიის განკურნებადობის პროპაგანდით; ეპილევსიით დაავადებული პაციენტებისათვის სწავლის, შრომის, საზოგადოებრივი, ოჯახის შექმნის, დედათა და სხვა უფლებების დამცავი პროპაგანდის ხელშეწყობით.

ასოციაციაში გაერთიანება შეუძლია ნებისმიერი ასაკის ნებისმიერ პირს.

შ ე მ ო გ ვ ი ე რ თ დ ი თ !

ინფორმაციისათვის მოგვმართეთ მისამართზე:

თბილისი, ი. ჯავახიშვილის ქ.51 (II სართული)
ტელ: (995 32) 91 29 47; 95 75 20;
ტელ/ფაქსი: (995 32) 91 29 47
ელ.ფოსტა: CPCEpi@gmail.com
ვებგვერდი: [www. cpce.ge](http://www.cpce.ge) „ფორუმი“